

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სწავლა კეთებით – საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტი და მოსწავლეთა მოტივაცია

ხათუნა კაპანაძე

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

რეზიუმე

ავტორი სტატიაში განიხილავს საკუთარ პროფესიულ გამოცდილებას ბიოლოგია/ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე „სწავლა კეთებით“ სტრატეგიის გამოყენების მრავალფეროვანი მაგალითების პოზიტიური გავლენის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სწავლა კეთებით, მოსწავლეთა მოტივაცია, სწავლის შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიები.

მოსწავლეების დაბალი მოტივაცია თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რადგან სწავლების კანონზომიერება განსაზღვრავს მოსწავლის ჩართულობის აუცილებლობას. მოსწავლის სწავლაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენს სწავლის მოტივაცია. [1]

მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, არამედ – სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტი: მასწავლებლის კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოების ხარისხი, სასწავლო გეგმა, და ა.შ.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

ჯონდიუი თვლიდა, რომ განათლებაუნდაემყარებოდესგამოცდილებასდაარა – ფაქტებისდამახსოვრებას.მისიმთავარისლოგანია,„სწავლაკეთებით“.

დიუისსქემისმიხედვით, სწავლისეტაპებია:პრობლემისაღმოჩენა, პრობლემისგანსაზღვრა,გადაჭრისგზებისშეთავაზება,ამგზებისშეფასებაწარსულიგამოცდილებებისსაფუძველზე,საუკეთესოგზისგამოცდა. „სწავლა კეთებით“ საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტი.

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა – საფუძველი ჩაუყაროს ფუნდამენტურ ცოდნას მეცნიერებების საფუძველებში – ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია.დაწყებით

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

საფეხურზე განხორციელებული აქტივობებით და საინტერესოდ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესით უნდა მივაღწიოთ მოსწავლეთა საგნით დაინტერესებას, მოტივირებას, რაც შედეგების გაუმჯობესების უდავო გარანტიაა. ამ საფეხურზე დაგროვებული ცოდნა/გამოცდილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბუნებისმეტყველო საგნებში აკადემიური, კვლევითი, საპრეზენტაციო უნარებისა, აგრეთვე რაოდენობრივი, ეკოლოგიური წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების განვითარებაში. საბაზო საფეხურზე VII, VIII, IX, X, XI კლასებში ფაქტობრივი ცოდნის ზრდა ორგანულად უნდა დავეუკავშიროთ თემის შინაარსიდან გამომდინარე ექსპერიმენტებისა და კვლევების დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე. მოსწავლეების თვალთ დახედული საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერიმენტები და დაკვირვებები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეფასებაა, და მეტ მობილიზაციას ითხოვს მომავალში მათი მოტივაციის შენარჩუნებისათვის. აღმოვაჩინე, რომ ცდითა და დაკვირვებებით მიღებული ინფორმაცია, ცოდნა დიდხანს ამახსოვრდებათ, ანალიზებენ და პოულობენ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირს. როცა მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირებაში ვეხმარებით, ასეთ შემთხვევებში მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის, მისია შესრულებულია.

სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმით ბუნება/ ბიოლოგიაში გათვალისწინებული საკითხები საინტერესოდ უკავშირდება ცდების, ექსპერიმენტების, დაკვირვებისა და კვლევის ჩატარების აუცილებლობას. სახელმძღვანელოებში დეტალურადაა ახსნილი, მკაფიო ინსტრუქციებია მოცემული მათი განხორციელებისათვის. ამ რეალობის გათვალისწინებით შესაბამის კლასებში, სკოლის არსებული რესურსების გამოყენებით დაიგეგმა და სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტი, რომელიც მოთხოვნადი და პოპულარული გახდა მოსწავლეებში. თუ გასულ წლებში ეს აქტივობები შედარებით ნაკლები ინტენსივობით ტარდებოდა რესურსების სიმცირის გამო, ვიზრუნე საჭირო ინფორმაციისა და სათანადო რესურსების მოძიებაზე. ამ მიზნით გავლილი ასოციაცია „ბიოს“ ტრენინგი „მარტივი ექსპერიმენტები ჭიამაიასთან ერთად“ დამეხმარა მარტივი ექსპერიმენტების ორგანიზებაში. ცდების ჩატარებამ პოზიტიური განწყობა გაამდიერა მოსწავლეებში, გახდნენ დაკვირვებულები მოვლენების მიმართ, რაც მეხმარება უკეთ გავაგებინოთ ესა თუ ის საკითხი.

„სწავლა კეთებით“ კარგად ესადაგება ბუნება (V-VI კლასი) / საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები (VII კლასი) / ბიოლოგიის კურსში (VIII, IX, X, XI კლასები) შესასწავლ საკითხებს : ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობა, აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებები; ნივთიერებათა თვისებები; სახამებლის აღმოჩენა მცენარის ფოთოლში და საკვებ პროდუქტებში; ნარევის მიღება, ნარევის დაყოფის ხერხები;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სინათლის გარდატეხა; ბგერის გავრცელება სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა ნივთიერებაში; ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ბუნებრივი ნიშნებით და კომპასის გამოყენებით; რუკის ლეგენდის გამოყენებით ჩვენი სკოლის ან საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის რუკის შედგენა. უჯრედის სამარაგო ორგანული და არაორგანული ნივთიერებების აღმოჩენა, ფერმენტების მოქმედების შესწავლა. მცენარის აღმოცენების, ფოტოსინთეზისათვის საჭირო პირობების შესწავლა, ჰელიოტროპიზმის მოვლენა, ტრანსპირაციის მოვლენა მცენარეებში და მრავალი სხვა... მოსწავლეების ექსპერიმენტული მუშაობის დროსიღებენ დაკვირვების ამსახველ ფოტოსურათებს, ამზადებენ საპრეზენტაციო მასალებს კომპიუტერული პროგრამის Power Point-ის დახმარებით, აკეთებენ მიღებული შედეგების შესაბამის დასკვნებს, მსჯელობენ გამომწვევ მიზეზებზე, ისმენენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს.

გასული სასწავლო წელი, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში აღნიშნული საკითხის შესწავლის და გაანალიზების მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე, მოტივაციასა და აკადემიურ შედეგებზე დაკვირვების შედეგებმა საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალება მომცა – „სწავლა კეთებით“ ბუნებასა და ბიოლოგიაში ჩატარებული გაკვეთილებზე მოსწავლეთა პოზიტიური განწყობის უმთავრესი მოტივატორია.

სწავლა–კეთებით მიდგომის უპირატესობები: მოსწავლე ჩართულია სწავლა–სწავლების პროცესში, ახორციელებს პრაქტიკულ და კვლევით აქტივობებს, ამასთანავე აფასებს საკუთარ თავს, რაც ეხმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში;

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული გაკვეთილზე, მათთვის თვალსაჩინო გახდა ცდით / დაკვირვებით მიღებული შედეგები, დაეხმარა ახსნილი მასალის უკეთ გააზრებაში, ხელი შეუწყო მოსწავლეებში ვიზუალურ–სივრცითი ინტელექტის განვითარებას, ამ აქტივობით გაიზარდა მოსწავლეებში შინაგანი მოტივაცია საგნისადმი, მოსწავლეებმა უკეთ აითვისეს მასალა, მიეჩვივნენ დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და აზროვნებას, დამეხმარა მასწავლებელს – გავიდე უკეთეს სასწავლო შედეგზე.

2014–2015 სასწავლო წლის ბოლოს გამოვიკითხე გელათის საჯარო სკოლის 52 მოსწავლე (გოგონა 24 / ვაჟი 28).

გამოკითხვის მიზანი – საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტების მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულების შესწავლა.

გამოკითხვის შედეგები

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

1. წლის მანძილზე ჩატარებული ცდა / დაკვირვება, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო იყო მათთვის :
 - ჰერბარიუმის დამზადება;
 - დეკორატიული მცენარეების დარგვა;
 - ფრინველებზე დაკვირვება / ფრინველთა საათში მონაწილეობის მიღება;
 - სახამებლის აღმოჩენა მცენარეში და სხვადასხვა საკვებ პროდუქტში;
 - სოდის და ძმრის ურთიერთქმედებით „ვულკანის“ მიღება;
 - სხვადასხვა ნარევის მიღება, მათი თვისებების შესწავლა, დაყოფა;
 - ნიადაგის გახსნა წყალში, წყლის აორთქლება და სასაგნე მინაზე მინერალური მარილის ნაფიფქის აღმოჩენა;
 - დაკვირვება მოსწავლეების ზრდის ცვლილებაზე;
 - სხივის არეკვლასთან დაკავშირებული ცდა;
 - წყლის სისუფთავის შესწავლა კალიუმის პერმანგანატით;
 - მცენარეების დათესვა და მათ ზრდაზე დაკვირვება;
 - მიკროსკოპით დაკვირვება პეპლის სხეულის/ფრთების აგებულებაზე;
 - მიკროსკოპის დახმარებით მცენარეთა ფოთლის აგებულების შესწავლა;
 - დაკვირვების წარმოება ნარჩენების გადამუშავებაზე;
 - კვლევები თამბაქოს მავნელობასთან დაკავშირებით.
2. რატომ მოსწონთ ბუნებისმეტყველების ექსპერიმენტულ ნაწილი :
 - მოსწონთ ცდების ჩატარება და დაკვირვებებზე თვალყურის დევნება;
 - დაკვირვება ძალიან საინტერესოა;
 - საკუთარი თვალთ ხედავს ყველაფერს და ეს ძალიან მოსწონს;
 - მოსწონთ ახალი აღმოჩენების გაკეთება თავიანთ ცხოვრებაში;
 - იმიტომ, რომ სახალისოა და ბევრ საინტერესო ინფორმაციას იგებენ;
 - სწავლობენ მიკროსკოპთან მუშაობას;
 - ბევრი საინტერესო რამ შეისწავლეს, ამით ბუნებას გადაარჩენს;
 - იმიტომ, რომ უნდა დაუმეგობრდეს ბუნებას და უკეთ შეისწავლოს;
 - ეცნობიან ახალ აღმოჩენებს;
 - იღებენ ცოდნას და გამოცდილებას;

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საგაკვეთილო პროცესში ჩემ მიერ განხორციელებულმა სტრატეგიებმა მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებაზე დადებითად იმოქმედეს, რადგან საკლასო აქტივობები დაფუძვნირე მოსწავლეთა ინტერესებს და გამოვიწვიეთი ცნობისმოყვარეობა; მოწავლეებთან მუშაობის დროს გამოვიყენე – თანამშრომლობა, შეჯიბრება, პროექტები...

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მელქიშვილი მ.-მოტივაცია - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013
2. www.tpdg.ge/uploads/pdf_documents/ketebitswavlebismetodebi.pdf
3. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16569
4. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%9C_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%98
5. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=57
6. http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=133